უმცირესობების უფლებების დაცვის ისტორია

უმცირესობათა დაცის პირველი მექანიზმი ამოქმედდა 1976 წლის 23 მარტს, ეს იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული ,,საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ", რომლის 27-ე მუხლში ნათქვამია:

,,იმ ქვეყნებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, ამ უმცირესობების წარმომადგენლებს არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებებზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთობლივად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღასრულონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მათი წეს-ჩვეულებები, აგრეთვე ისარგებლონ მშობლიური ენით".

უმცირესობათა დაცვის მექანიზმები მეტნაკლებად ძლიერდება მე20 საუკუნეში, როდესაც 1948წელს, ისეთმა ძლიერმა ორგანიზაციამ როგორიც გაეროა, მიიღო ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია. აღნიშნული დეკლარაცია, ადამიანთა უფლება-თავისუფლების სფეროში ამკვიდრებს ისეთ ფუნდამენტურ ნორმა-პრინციპს როგორიცაა: დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორუფლებიანობა ყველა ადამიანისა. ამ დეკლარაციის მეორე მუხლში ვკითხულობთ :

"დეკლარაციით გათვალისწინებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს თითოეულ ადამიანს განურჩევლად ნებისმიერი განსხვავებისა, სახელდობრ: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა"

გაეროს წესდებამ შექმნა პრეცედენტი, რომლის საფუძველზეც დაიწყო სხვადასხვა სამართლებრივი აქტების მიღება, რომელთაგანაც გამორჩეულია საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965 წ.) აღნიშნულ კონვენციაში ჩამოყალიბებული გარანტიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სამართალ სუბიექტობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონით თანაბარი დაცვის აღიარება. მიუხედავად მიღებული სამართლებრივი აქტებსა, აღსაღნიშნავია ის ფაქტი, რომ გაცილებით ურო ნაკლები ერთსულოვნება იგრძნობა ამ პერიოდში მსოფლიოში უმცირესობებისთვის განსაკუთრებული უფლებებისა და შეღავათების მიცემის მხრივ, რომლებიც მოწოდებულია მხოლოდ იმისათვის, რომ გაათანაბროს უმცირესობისა და უმრავლესობის უფლებები და თანაბარ საცხოვრებელ

პირობებში ჩააყენოს ისინი. ეს არის პერიოდი, როცა შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს ბრძოლა შავკანიანთა უფლებების დასაცავად, საჭირო იყო საზოგადოების აზროვნების შეცვლა, რასაც აქტიურად ცდილობდა აფრო ამერიკელი მოაზროვნე და ძლიერი ორატორი მარტინ ლუთერ კინგი, გამოსვლებში ის მოუწოდებდა თანასწორობის მიღწევას მშვიდობიანი გზით



უმცირესობებისათვის უკვე ფართო უფლებამოსილების მინიჭება იწყება 1989 წლიდან, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (მაშინდელი თათბირის) წევრი-სახელმწიფოების წარმომადგენელთა მიერ ვენის შეხვედრაზე მიღებული შემაჯამებელი დოკუმენტით, ხოლო ეს დოკუმენტი გავრცობასა და ფართო ასახვას პოვებს უკვე პარიზის ქარტიაში რომელიც მიიღეს 1990 წელს, ეს გახლდათ დოკუმენტი, რომელმაც დაუკანონა უმცირესობებს მათთვის მინიჭებული მაგრამ არ აღიარებული უფლებები, პარიზის ქარტიას

მსოფლიოსთვის ცნობილია როგორც "დემოკრატიის, მშვიდობისა და ერთიანობის, ახალი ერა" პარიზის ქარტია გვამცნობს;

"ჩვენ ვადასტურებთ, რომ ეროვნული უმცირესობების, ეთნიკური. კულტურული. ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობა იქნება დაცული და რომ პირები რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ უმცირესობებს, თავისუფლად გამოთქვამენ, განავითარებენ და შეინარჩუნებენ თავიანთ იდენტობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ყველა იქნება სრულიად თანასწორი კანონის წინაშე"

პარიზის ქარტიას ხელი მოაწერა ეუთოს წევრ ქვეყანათა უმრავლესობამ და იგი ძალაში შევიდა 1990 წელსვე. ამ დროს გაეროს შემადგენლობაში 150 მდე სახელმწიფო შედიოდა და მათი დიდი უმრავლესობა შეუერთდა აღნიშნულ ქარტიას.

მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც შეძლებდა მსოფლიოში მცხოვრები უმცირესობების დაცვასა და საერთაშორისო ასპარეზზე მათი უფლებების დამკვიდრებას, ეს გახლდათ ხარვეზი, რომლის გამოსწორების პირველი მცდელობა იყო 1995 წელს 1 თებერვალს სტრასბურგში მიღებული კონვენცია ,,ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ". კონვენცია ითვალისწინებდა საკონსულტაციო ცენტრის შექმნას, რომლის ძირითადი მიზანი იყო დახმარებოდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ამ კონვენციაში არსებულ ნორმათა შესრულებაში. ქვეყნები, რომლებიც რატიფიცირებას უკეთებენ მსგავსს დოკუმენტებს, ვალდებულნი არიან შეასრულონ მისი მოთხოვნები და ქვეყნის კანონმდებლობა შეუსაბამონ კონვენციის ნორმა-პრინციპებს.

საერთაშორისო ასპარეზის კვალდაკვალ, ცალკეული სახელმწიფოები ცდილობდნენ და ცდილობენ, თვითონ შექმნან ისეთი კონსტიტუციები, რომლებშიც ცალსახად იქნება აღნიშნული ადამიანთა თანასწორობის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ასეთი მცდელობები იყო იტალიის 1947 წლის და ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციები, მათ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებს მიანიჭეს საკმაო დამოუკიდებლობა და ამით შეეცადნენ ეთნიკურ ნიადაგზე განხეთქილების თავიდან აცილება. იტალიის შემადგენლობაში შედის 20, ხოლო ესპანეთში- 17 თვითმმართველი ერთეული. გაცილებით უფრო ადრე, კონკრეტულად კი 1921 წელს, საქართველოში იყო მიღებული კონსტიტუცია, რომლის მე3 თავი მთლიანად ადამიანის უფლებებს ეხებოდა და ამ კონსტიტუციაში ნათლად იყო ნაჩვენები, რომ ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე, რომ ქვეყანაში არის რწმენის, სიტყვის თავისუფლება და რომ არცერთი ადამიანი არ შეიძლება იყოს დისკრიმინაციის მსხვერპლი. კანონის წინაშე თანასწორობას აღიარებს საქართველოს ამჟამინდელი კონსტიტუციაც რომელის მე14 მუხლში ვკითხულობთ:

"ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა."

მნიშვნელოვანია კონსტიტუციის 38-ე მუხლი, რომელიც დისკრიმინაციის ყველა ფორმას კრძალავს

<u>მუხლი 38</u>

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.
2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

კონფლიქტები და უმცირესობები

მიუხედავად საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ ასპარეზზე არსებული უამრავი დაცვის მექანიზმისა, მაინც გადაუჭრელი რჩება პრობლემა, რომელიც უმცირესობათა უფლებებს და მათ დაცვას ეხება, ამას ცხადყოფს ის უამრავი კონფლიქტი, რომელიც უმცირესობებთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებობდა და კვლავაც არსებობს, ცივილურმა კაცობრიობამ ასეთი ქმედებები უკვე საერთაშორისო დანაშაულის რანგში აიყვანა და აქტიურად ცდილობს მის დამარცხებას. ერთ-ერთი ყველაზე ცხარე კონფლიქტები მსოფლიოში რასობრივი დისკრიმინაციის სახეს ატარებდა

კონფლიქტები რასობრივ ნიადაგზე

სეგრეგაცია ეს არის საერთაშორისო დანაშაული, რომელიც მიზნად ისახავს რასობრივი ჯგუფებისა და მათი წევრების საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან იზოლირებას.

აპართეიდი რასობრივი დისკრიმინაციის ნაირსახეობაა. იგი აშკარად გამოიხატება გაბატონებული ეროვნების მხრიდან აღნიშნული ჯგუფების ექსპლუატაციის ყველაზე ულმობელი და არაადამიანური პოლიტიკითა და სათანადო მექანიზმების შექმნით. აპართეიდი მძვინვარდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში XX საუკუნის 90–იან წლებამდე – ევროპიდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ დაამწყვდია აფრიკის, აზიის და სხვა კონტინენტის ფერადკანიანები (მოსახელობის 80%) ე.წ. ბანტუსტანებში, საკონცენტრაციო ბანაკებში და შემოიღო ამ ბანაკებში მცხოვრები მოსახლეობისათვის განცალკევებული საზოგადოებრივი ცხოვრების წესები, სწავლა–განათლების უვარგისი სისტემა. აპართეიდთან ბრძოლა სისხლისმღვრელი შეტაკებებით სრულდებოდა, ხოლო მებრძოლთა ლიდერებს სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ (მათ შორის იყო ნელსონ მანდელა). გაერო აქტიურად იბრძოდა აპართეიდის რეჟიმის წინააღმდეგ, გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით მთელმა მსოფლიომ შეწყვიტა სამხრეთ აფრიკასთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული, სპორტული ურთიერთობანი. 1973 წელს დაიდო კონვენცია აპართეიდის დანაშაულების აღკვეთისა და დასჯის შესახებ, რომელიც აპართეიდს მიაკუთვნებს საერთაშორისო დანაშაულთა რიცხვს, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიას. გაეროსა და სხვა რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის ძალისხმევით, თეთრკანიანთა რეჟიმი იძულებული გახდა, გაეუქმებინა აპართეიდის რეჟიმი და მიეცა მოსახლეობის უმრავლესობისათვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სრული რეალიზაციის უფლება. ეს პროცესი დაიწყო 1994 წლიდან, როდესაც ნელსონ მანდელა გახდა ქვეყნის პრეზიდენტი.

<u>აშშ</u>

რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა აშშ-ში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის გამართული ბრძოლით დაიწყო, რომელშიც ჩრდილოეთის შტატებმა მოიპოვეს გამარჯვება და ამას უკვე შემდგომში მოჰყვა შეერთებულ შტატებში მონობის გაუქმება.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მონობის წინააღმდეგ აშშ-ს მოსახლეობამ XIX საუკუნეში გაილაშქრა, XX საუკუნეში აშშ-ში შავკანიანთა დისკრიმინაცია პიკს აღწევდა.

1915 წლიდან სეგრეგაცია ყველა შტატში დაკანონდა:

- შავკანიანებს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უნდა გადაეხადათ მაღალი გადასახადი და ჩაებარებინათ ტესტი, რაც ითვალისწინებდა კონსტიტუციისა და დამოუკიდებლობის დეკლარაციის ზეპირად ცოდნას.
- შავკანიანებისა და თეთრკანიანების ერთ კამპანიაში თამაში კანონსაწინააღმდეგოა, (ალაბამა).
- თეთრი კანის მქონე ადამიანის შერეული ქორწინება შავკანიანთან, მონღოლთან ან ინდუსთან გაუქმდება და არ ექნება კანონიერი ძალა (არიზონა).
- ყველა, ვისაც აქვს ღვინის ან ლუდის გაყიდვის ლიცენზია, ვალდებულია მოემსახუროს მხოლოდ თეთრკანიანებს ან მხოლოდ ფერადკანიანებს და არუნდა მიჰყიდო ს ორივეს ერთდროულად, ერთიდაიმავე ადგილას, ერთსა და იმავე დროს (ჯორჯია).
- რომელიმე შავკანიანი ან თეთრკანიანი ქალი, ან თეთრკანიანი მამაკაცი და შავკანიანი ქალი, რომლებიც არ არიან დაქორწინებული და რომლებიც ცხოვრობენ ერთად ან ღამით ერთ ოთახში იძინებენ, დაისჯებიან პატიმრობით (არაუმეტეს 12 თვისა) ან ჯარიმით (არაუმეტეს 500 დოლარისა) (ფლორიდა).

სეგრეგაციული კანონები შეეხო არამარტო არჩევნის უფლებას, არამედ ბიბლიოთეკებს, კვების ობიექტებს, თეატრებს, ეკლესიებს, საავადმყოფოებს, სასაფლაოებს, საცურაო აუზებს. აიკრძალა შერეული ქორწინებები. კანონის დარღვევისას თეთრკანიანი ჯარიმას იხდიდა, შავკანიანს კი ელოდა ციხე ან ლინჩის წესით გასამართლება.

სეგრეგაცია საქალაქო ავტობუსებში (ეს საინტერესოა)

ქალაქ მონტგომერის კანონების მიხედვით შავკანიანებს არ ქონდათ ავტობუსში პირველი ოთხი რიგის დაკავების უფლება. ეს რიგები თეთრკანიანებისთვის იყო განკუთვნილი. თუ ეს რიგები დაკავებული იყო შავკანიანებს თავიანთი ადგილები უნდა დაეთმოთ ავტობუსში ამოსული თეთრკანიანებისათვის. თუ

მისთვის განკუთვნილ ადგილას მჯდომი შავკანიანი არ უთმობდა ადგილს თეთრკანიანს, როდესაც წინა რიგები უკვე შევსებული იყო, მას აპატიმრებდნენ.

50-იანი წლებიდან ნელ-ნელა გააქტიურდა შავკანიანი მოსახლეობა და 1955 წელს მარტინ ლუთერ კინგის თაოსნობით, მათ საქალაქო ავტობუსებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

ბოიკოტის შედეგად ავტობუსის კომპანიებმა დიდი ზარალი ნახეს. თავდაპირველად ქალაქის ხელისუფალნი შეეცადნენ მოძრაობის გახლეჩას და აქტივისტების დისკრედიტაციას მასმედიის დახმარებით. წარუმატებლობის შემდეგ კი აქტივისტების დევნა დაიწყეს. შავკანიან მძღოლებს, რომლებსაც საკუთარი მანქანებით გადაჰყავდათ ბოიკოტის მონაწილენი, აჩერებდნენ გამოგონილი მიზეზებით, შედეგად აქტივისტების სახლებში კუ-კლუს-კლანიდან მუქარები გაისმა. 1956 წლის იანვარში კინგის სახლში ბომბი შეაგდეს. ამის შემდეგ ხელისუფლებამ, 1921 წელს მიღებული "ანიტი ბოიკოტის" კანონი გამოიყენა და 100-მდე აქტივისტი დააპატიმრა.

ბოიკოტის აქტივისტებმა სარჩელი შეიტანეს ფედერალურ სასამართლოში, სადაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ავტობუსებში სეგრეგაციის დაუშვებლობის შესახებ. მონტგომერის პროკურატურამ აპელაციით აშშ-ს უზენაეს სასამართლოს მიმართა, რომელმაც გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ამგვარად, აქცია, რომელიც 380 დღეგრძელდებოდა, 1956 წლის 20 დეკემბერს წარმატებით დასრულდა. ალაბამას შტატში, მათ შორის ქალაქ მონტგომერიში, საქალაქო ავტობუსებში სეგრეგაცია გაუქმდა. თუმცა, იმავე ღამეს კუ-კლუს-კლანის მრავალრიცხოვანი წევრები ჩავიდნენ მონტგომერი შიდა მოსახლეობის დასაშინებლად მსვლელობა მოაწყვეს. ტერორი დიდ ხანს გრძელდებოდა; შავკანიანებით დასახლებულ რაიონებში გახშირდა ბომბების აფეთქება, მოსახლეობას უმოწყალოდ სცემდნენ და არბევდნენ.

"ავტობუსების ბოიკოტმა" აქციების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი მარტინ ლუთერ კინგი კი ფერადკანიანთა სამოქალაქო უფლებების დამცველი მოძრაობის უდავო ლიდერი გახდა. მან მოაწყო არაერთი საპროტესტო მსვლელობა შავკანიანთა უფლებების დასაცავად, არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის უფლებისთვის. მათი უმრავლესობა კი წარმატებულად დასრულდა.

მარტინ ლუთერ კინგის ყველაზე ცნობილი გამოსვლაა “მე მაქვს ოცნება” (”I have a dream”), წარმოთქმული მშვიდობიანი მარშისას, ვაშინგტონში, 1963 წელს, ლინკოლნის მონუმენტის კვარცხლბეკთან, 300 ათასი ამერიკელის წინ.

ამერიკული საზოგადოების დემოკრატიზაციაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და რასისტული დისკრიმინაციის წინააღმდეგ გაწეული ღვაწლისთვის, 1964 წელს 35 წლის მარტინ ლუთერს ნობელის მშვიდობის პრემია გადაეცა.

1968 წლის 4 აპრილს, მემფისში, ტენესი, როდესაც კინგი სასტუმროს აივანზე იდგა, ის სასიკვდილოდ დაჭრა სნაიპერმა.

ამან მოსახლეობის ძლიერი აღშფოთება გამოიწვია; დაიწყო მასობრივი გამოსვლები, რომელსაც 46 ადამიანი შეეწირა, 2,5 ათასი კი დაიჭრა. მთავრობამ, არეულობის ჩასახშობად 70 ათასი ჯარისკაცი გამოიყვანა. მკვლელს, ჯეიმს ერლ რეის, 99 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ოფიციალურად განაცხადეს, რომ მკვლელი მარტო მოქმედებდა, თუმცა ფიქრობენ, რომ კინგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

1986 წლიდან, ამერიკაში, იანვრის მესამე ორშაბათი მარტინ ლუთერ კინგის დღეა და ეროვნულ დღესასწაულად ითვლება.

სეგრეგაცია სკოლებში

1951 წელს კანზასის შტატის შავკანიანმა მცხოვრებმა ოლივერ ბრაუნმა საკუთარი რვა წლის გოგონას სახელით სარჩელით მიმართა სასამართლოს სკოლის საქალაქო საბჭოს წინააღმდეგ ("ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ”). სარჩელში ბრაუნი უთითებდა, რომ მის გოგონას თეთრკანიანებისათვის განკუთვნილ სკოლაში უნდა ესწავლა, რომელიც მისი სახლიდან 5 კვარტალში მდებარეობდა, მაშინ როდესაც შავკანიანების სკოლა 21 კვარტალით იყო დაშორებული. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, ანალოგიური სარჩელებით სხვა შავკანიანებმაც მიმართეს სამხრეთ კაროლინის, ვირჯინიის და დელავერის შტატების სასამართლოებს .განხილვების სერიის შემდეგ საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა, რომელმაც დაადგინა, რომ სეგრეგაცია სკოლებში ეწინააღმდეგება აშშ-ის კონსტიტუციის მე-14 შესწორებას, რომელიც "კანონების მხრიდან თანაბარ დაცვას” ითვალისწინებს.

ამ გადაწყვეტილებით აშშ-ის სკოლებში სეგრეგაცია იურიდიულად აიკრძალა, მაგრამ მას რიგ შტატში გააფთრებული წინააღმდეგობა შეხვდა. ასე მაგალითად, ალაბამის სასამართლომ დაადგინა, რომ **უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ძალა არა აქვს, თუ ის წინააღმდეგობაში მოდის შტატის კანონმდებლობასთან.**

1957 წლის სექტემბერში, არკანზასის შტატის ქალაქ ლითლ-როკში სწავლის დაწყების დღეს, 9 შავკანიანმა ბავშვმა (შემდგომში მათ "ლითლ-როკელი ცხრიანი" უწოდეს) სკოლაში შესვლა გადაწყვიტა, მაგრამ შტატის გუბერნატორმა ორვალ ფობუსმა, შტატის ეროვნულ გვარდიას სკოლისათვის ალყის შემორტყმა და იქ შავკანიანი მოსწავლეების არ შეშვება უბრძანა.

19 დღის განმავლობაში შავკანიანი მოსწავლეები იძულებული იყვნენ სახლში დარჩენილიყვნენ. ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით გუბერნატორს სკოლიდან ჯარების გაყვანა ებრძანა. თუმცა, 23 სექტემბერს, როცა შავკანიანი მოსწავლეები სკოლაში მივიდნენ, ქუჩაში კვლავ შეიკრიბა აგრესიული ბრბო, რომელთანაც პოლიციამაც ვერაფერი გააწყო.

მას შემდეგ რაც ლითლ-როკის კრიზისმა მედიის ყურადღება მიიპყრო და ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰპოვა, პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა იქ ფედერალური ჯარები გაგზავნა. ფორტ-კემპბელის საჰაერო-სადესანტო დივიზიის 1200 ჯარისკაცი, რომლებიც აცილებდნენ შავკანიან მოსწავლეებს გაკვეთილების დაწყებამდე და მის შემდეგ.

1958 წელს უზენაესმა სასამართლო იძულებული იყო კვლავ დაედასტურებინა საკუთარი გადაწყვეტილება აშშ-ის სკოლებში სეგრეგაციის იურიდიულად აკრძალვის შესახებ.

<u>აღსანიშნავი დღე</u>

21 მარტი არის საერთაშორისო დღე რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და აღინიშნება 1966 წლიდან. ეს დღე გაერომ დაადგინა იმ 69 ადამიანის საპატივცემულოდ, რომლებიც მშვიდობიანი დემონსტრაციით აპროტესტებდნენ აპართეიდს და რომლებიც დახოცეს ამის გამო(1960 წელს).

კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე

დღესაც კი, უმრავლეს ქვეყნებში, ეთნიკური უმცირესობების უფლებები ბოლომდე არ არის დაცული , მათ არ აქვთ თავიანთი კულტურის რეალიზების შესაძლებლობა, არ ფლობენ ადგილობრივ ენას და ნაკლებად არიან წარმოდგენილები პოლიტიკაში. ამის გამოსასწორებლად სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ:

1. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.
2. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უმცირესობებისთვის მშობლიური ენის სწავლა- შენარჩუნება მათ უნად მიეცეთ შესაძლებლობა ზოგადი განათლება მიიღონ საკუთარ ენაზე.
3. ხელი უნდა შუწყოს ადგილობრივი ენის შესწავლის მსურველებს.

საზოგადოებას ყოველთვის აქვს შიში განსხვავებულისადმი ამიტომ ისინი მათ არ აღიქვამენ თანასწორად, არ ცემენ პატივს მათ ჩვეულებებსა და ტრადიციებს, არ არიან მათ მიმართ ტოლერანტულები. ტოლერანტობის დაბალი ხარისხი ყველა დროის საზოგადოების მნიშვნელოვანი პრობლემაა იყო, რომელიც ხელს უშლიდა სხვებისთვის უფლებების მიცემას, ეცხოვრათ საკუთარი ინდივიდუალური შეხედულებების შესაბამისად. ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყანაში დომინანტ ეთნოსში არსებული, აზროვნების შეცვლა და ახალი აზროვნების ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც არ უნდა იყოს დისკრიმინაცია ან პრივილეგია გვარის, ეთნიკური წარმომავლობის ან რელიგიური კუთვნილების გამო.

ეთნიკური წმენდა ერთ- ერთი ყველაზე საშიში დანაშაულის სახეობაა ადამიანთა უფლებათა წინააღმდეგ და იგი საერთაშორისო მართმსაჯულების იურისდიქციას განეკუთვნება.

ეთნიკური წმენდის სასტიკ გამოვლინებას განეკუთვნება 1933- 1945 წლებში ნაცისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ ებრაელების , ბოშების და სხვა უმცირესობების მიმართ გატრებული გენოციდი, რომელიც, ისტორიაში “ჰოლოკოსტის სახელით” შევიდა . ოფიციალურად მიღებული საერთაშორისო ისტორიოგრაფიის მონაცემებით, გენოციდის შედეგად დაღუპული ებრაელების რაოდენობა 6 მილიონს აჭარბებს.

საქართველოს რეალურ ყოფაში ეთნიკური წმენდის სასტიკი გამოვლინების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მე-20 საკუნი 90-იანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტების მიერ განხორციელებული

ეთნიკური წმენდა , რომელთა შედეგადაც 20000 ზე მეტი დაიღუპა და 400000 დევნილი დარჩა. წმენდის შედეგად ომამდე აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის 84 % , ხოლო ცხინვალი რეგიონში მცხოვრები ქართველიო მოსახლეობის 90 % დღეს დევნილია.

<u>კონფლიქტები რელიგიურ ნიადაგზე</u>

თანამედროვე მსოფლიოში რელიგიის ნიადაგზე ადგილი აქვს მწვავე კონფლიქტებს და ომებს. ამის მაგალითია ქრისტიანების დევნა სირიასა და ერაყში სადაც მიმდინარეობს ქრისტიანების დისკრიმინაცია და დევნა.

რელიგიური უმცირესობების საკითხი არის მტკივნეული თემა თანამედროვე მსოფლიოსთვის და მისი მოგვარება უნდა დაიწყოს სახელმწიფოს ფარგლებში, რომ არ მიიღოს გლობალური მასშტაბები.

უმცირესობები და ქართველი განმანათლებლები

ქართველი საზოგადო მოღვაწეები და განმანათლებლები ღიად აფიქსირებდნენ თვის აზრს უმცირესობების შესახებ და მიიჩნევდნენ რომ ადამიანის თანასწორობა საფუძველი იყო ყოველგვარი სიკეთისა, ერის მამა -ილია ჭავჭავაძე რელიგიურ ტოლერანტობას ერის გამთლიანების წინაპირობად მიიჩნევს

ილიას აზრით, რელიგიური ტოლერანტობა აუცილებელი პირობაა ერის გასამთლიანებლად. მისი შინაარსი მიგვანიშნებს, რომ შემწყნარებელი კაცი, ერი თუ საზოგადოება არამარტო იტანს და უთმენს განსხვავებულის არსებობას, არამედ არ მიიჩნევს მას პრობლემად და ემოციური ან სხვაგვარი დისკომფორტის წყაროდ. ილია ჯერ კიდევ 125წლის წინათ სწორედ ამას წერდა:

"სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა, თავისის სარწმუნოების ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს. ისტორიაში არა არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა.

სომეხნი, ებრაელნი,თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და დაჩაგრულნი-აქ, ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა. არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ ,

კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი."

ილია ენის სხვადასხვაობაზეც ლაპარაკობს. საუბრობს იმ გავრცელებული აზრის უგუნურებაზე, ვითომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ,სადაც ყველა ერთსა და იმავე ენაზე არ ლაპარაკობენო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეს აზრი მხოლოდ უმეცრების შედეგია. ილიას აზრით: "ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირის საძირკველიდამ ერთ ქვასაც ვერ გამოაცლის"

დისკრიმინაციის უარყოფით ასპექტებზე საუბრობდა ისეთი ქართველი განმანათლებელიც როგორიც იყო იაკობ გოგებაშვილი, კონკრეტულად კი ის ყურადღებას ამახვილებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მე17, მე18 საუკუნეებში გამძვინვარებულ მონებით ვაჭრობაზე, მონებს შეადგენდნენ აფრიკელი შავკანიანი მოსახლეობა, რომელიც თვდაპირველად ამერიკაში ჩაჰყავდათ, იქ ყიდიდნენ და შემდეგ აიძულებდნენ მთლი დღე გაუჩერებლად ემუშავათ. მათ არ ეძლეოდათ გასამრჯელო და არ ჰქონდათ ცხოვრების მინიმალური პირობებიც კი. სწორედ ეს ფაქრი დაგმო იაკობ გოგებაშვილმა თავის რჩეულ თხზულებაში სადაც ის წერს "თუმცა ბევრი წინასწარმეტყველებდა ამერიკის შინაური ბრძოლა დიდ ხანს გაგრძელდებაო, თუ ჩრდილოეთის შტატები არ დათანხმდებიან კავშირის დარღვევაზე და ამ კავშირიდან სამხრეთის შტატების გასვლაზედო; მაგრამ ჩრდილოელებმა არც ერთს თავის მოთხოვნილებაზედ ხელი არ აიღეს და სამხრეთელების სრული დამარცხებით მთელი ქვეყანა გააკვირვეს. კავშირი უწინდელს საფუძველზედ აღზდგა, უფრო-კი მეტი სიმძლავრის გრძნობით, რადგანაც საუკუნოდ დაირღვა მონობა, სენი შეერთებული შტატებისა... "

ეს ფაქტი თავისთავადი ნიშანია იმისა, რომ ქართული რჩეული საზოგადოება დასაწყისშივე იდგა იმ აზრზე, რომ მონობა როგორც ფაქტია სრულიად არაადეკვატურია ნებისმიერი ადამიანისათვის და ის საფუძველშივე უნდა იყოს ამოძირკვული.